



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 282

2 ივლისი
“ --- ” ----- 2021 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის ფერდობის IV მიკრორაიონში (ნაკვეთი 01/088) (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.396) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 16 ივნისის №21.829.936 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის ფერდობის IV მიკრორაიონში (ნაკვეთი 01/088) (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.396) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01210703586-67 (№01203212977-67; №01210184789-67; №01210602081-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 21.829.936
16 / ივნისი / 2021 წ.

ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრორაიონში (ნაკვეთი 01/088) (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.396) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 16 ნოემბრის N01203212977-67 (N 01210184789-67; N01210602081-67; N01210703586-67) განცხადებით მიმართა ელი ხენიმ (პ/ნ 01291027080) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრორაიონში (ნაკვეთი 01/088) (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.396) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრორაიონში (ნაკვეთი 01/088) (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.396). საპროექტო კვლევის არეალში არსებული მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი საცხოვრებელი ფუნქციით არის დატვირთული, თუმცა ასევე გვხვდება საზოგადოებრივი, სპორტული ფუნქციის ობიექტები. საპროექტო ტერიტორიასთან მოხვედრა შესაძლებელია ნუცუბიძის IV მიკრორაიონიდან, ა. ვარაზის ქუჩის მეშვეობით, ასევე, ლისის ტბის მხრიდან ლ. კვაჭაძისა და ფერმწერთა ქუჩის გავლით. ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ა. ვარაზის ქუჩა, საიდანაც ხდება კომპლექსის დატვირთვა, აგრეთვე, ყოფილი „საერთო საცხოვრებელისა“ და მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიები. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კომპლექსს ესაზღვრება რაგბის კავშირის საწვრთნელი სპორტული ბაზა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან - განაშენიანებისაგან თავისუფალი სარეკრეაციო ტერიტორიები.

ტერიტორია ხასიათდება ქანობიანი, ხოლო მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რთული რელიეფით. ტერიტორიაზე ტექნოგენური და ბუნებრივი საფრთხეები გამოვლენილი არ არის. ტერიტორია უზრუნველყოფილია საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

„ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.396) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N284 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

წარმოდგენილი პროექტით ტერიტორიაზე იგეგმება საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, რაც ითვალისწინებს მის განვითარებას საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) პარამეტრებით იმ პირობით, რომ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) საცხოვრებელი ზონის ტერიტორიისათვის, არ გადააჭარბებს ჯამურ კ-2=1,6 მაჩვენებელს.

განაშენიანების რეგულირების გეგმით, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია



მრავალბინიანი (5-7 სართული) საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და საერთო სარგებლობის სპორტული და გამწვანებული ტერიტორიების მოწყობა. გარდა ამისა, განაშენიანების დეტალური გეგმით ავთო ვარაზის ქუჩაზე გათვალისწინებულია, რელიეფში ჩაშენებული საცურაო აუზის, სპორტული დარბაზის და სპორტული მოედნის მოწყობა, ხოლო ლტოლვილთა საცხოვრებელი კორპუსის ტერიტორიის მიმდებარედ კლუბი - სასურსათო მაღაზიით, სკვერი სპორტული მოედნით. საპროექტო ტერიტორია დაყოფილია, შიდა „საუბნო“ ჩიხური "გზით" (5743,9 კვმ) ურთიერთდაკავშირებულ, ოთხ გეგმარებით ერთეულად, რომლებზეც დაგეგმილია 4 ტიპის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მათ შორის:

- გეგმარებითი ერთეული #1 (ოთხი -6 სართულიანი საცხოვრებელი სახლი) - ტერიტორიის ფართი 7 145,0 კვ.მ

- გეგმარებითი ერთეული #2 (სამი 6 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, საცურაო აუზი სპორტული მოედნით და დარბაზით, კლუბი - მაღაზია, სკვერი სპორტული მოედნით) - ტერიტორიის ფართი 9 193,8 კვ.მ

- გეგმარებითი ერთეული #3 (ხუთი 7 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, სკვერი, სპორტული და სათამაშო მოედნები) ტერიტორიის ფართი - 12 861,5 კვ.მ

- გეგმარებითი ერთეული # 4 მეოთხე ეტაპი (სამი 7 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, ერთ-ერთში პირველ სართულზე საბავშვო ბაღი) ტერიტორიის ფართი- 10 055,7 კვ.მ

პროექტით საცხოვრებელი კომპლექსის ტერიტორია აქტიურადაა გამწვანებული. ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 3 სპორტული მოედანი, რომელთაგანაც ორი ბუნებრივსაფარიანია. ასევე, გათვალისწინებულია საბავშვო სათამაშო ბაქნების მოწყობა.

საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 605 ავტოსადგომი (მიწისქვეშა და მიწისზედა), რაც მნიშვნელოვნად აღემატება ნორმატულად მოთხოვნილ რაოდენობას (320 ა/სადგომი)

საპროექტო ზონირება: საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ფუნქციური გამოყენებები - საცხოვრებელი, კომერციული; სარეკრეაციო.

ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

არეალის ფართობი: 45 000 კვ.მ

სზ-5 – 39 256.1 კვ.მ.

ტზ-1 – 5 743.9 კვ.მ

- გეგმარებითი ერთეული #1 (ფართობი: 7145,1 კვ.მ)

კ1 - 0.3 (2 394.4 კვ.მ); კ2 - 1.7 (12 146.7 კვ.მ); კ3 - 0.4 (2 959.0 კვ.მ)

- გეგმარებითი ერთეული # 2 (ფართობი: 9193,8 კვ.მ)

კ1 - 0.3 (2 434.5 კვ.მ); კ2 - 1.1 (10 113.2 კვ.მ); კ3 - 0.5 (4141.3 კვ.მ)

- გეგმარებითი ერთეული #3 (ფართობი: 12861,5 კვ.მ)

კ1 - 0.3 (3 554.0 კვ.მ); კ2 - 1.7 (21 864.5 კვ.მ); კ3 - 0.5 (6 006,0 კვ.მ)

• გეგმარებითი ერთეული # 4 (ფართობი: 10055,7 კვ.მ)

კ1 - 0.4 (3 787,2კვ.მ); კ2 - 2.0 (20 312,5კვ.მ); კ3 - 0.4 (4 043,1კვ.მ)

ჯამური ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საცხოვრებელი ზონა 5 - 39 256.1კვ.მ.

კ1 - 0.3 (12 170,1კვ.მ)

კ2 - 1.6 (64 436,9კვ.მ)

კ3 - 0.4 (17 149,4 კვ.მ)

მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე: 6-7 სართული (22.4-25,7მ)

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუანაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 16 მარტის N01210751203 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 16 მარტის N0121074757 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა №01.14.01.001.396 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრორაიონში (ნაკვეთი 01/088) (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.396) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01203212977-67 (N 01210184789-67; N01210602081-67; N01210703586-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრორაიონში (ნაკვეთი 01/088) (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.396) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.
4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 0121074710

თარიღი: 15/03/2021

პინი: 9605

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 11 მარტის №01210703586-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ნუსუბიძის ფერდობზე, IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.01.001.396; არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 3; დაგეგმილი ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 5 და სატრანსპორტო ზონა 1) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

ვინაიდან, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი, რომელიც გეგნობათ მიმდინარე წლის 25 იანვრის №01210252895 წერილით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01210252895

თარიღი: 25/01/2021

პინი: 1889

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 18 იანვრის №01210184789-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.01.001.396; არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 3; დაგეგმილი ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 5 და სატრანსპორტო ზონა 1) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **386 ძირი** (№ 3-11; № 15-20; № 22-24; № 30; № 32; № 69; № 75-76; № 80; № 82-83; № 85-86; № 88; № 92; № 94; № 101; № 120-124; № 131; № 135-138; № 140-142; № 146-147; № 153; № 156; № 159; № 163; № 165-166; № 170-180; № 188; № 196; № 198-200; № 202-216; № 218-234; № 238-239; № 241; № 243-258; № 260-271; № 273-284; № 286-288; № 292-293; № 295; № 299-303; № 305; № 308-309; № 311-313; № 315; № 323-325; № 327-328; № 334; № 338; № 342-343; № 351; № 355-359; № 370-372; № 374-379; № 382; № 385-396; № 399-408; № 411-417; № 419-420; № 422; № 424; № 425-431; № 434-435; № 438; № 440-441; № 443-444; № 456; № 458-460; № 463-464; № 469; № 474-485; № 487-494; № 496-509; № 513; № 516-519; № 527-529; № 532-533; № 542; № 544-549; № 552; № 554-556; № 558-559; № 564-565; № 571-577; № 580-581; № 583-589; № 591-598; № 611-612; № 614-617; № 620-625; № 632-633; № 635-641; № 644; № 646-648; № 650-653; № 657-660; № 665-666; № 668-675; № 678-681; № 683-685; № 687-692; № 727-730; № 733-734) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრა/გადარგვას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილკენკროვანთა სახეობას და დიამეტრი არ აღემატება 12 სანტიმეტრს, მათი მოჭრა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე, გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმობადი/გადაბერებული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **8 ძირი ხმობადი** (№ 705-707; № 709; № 711; № 713-714; № 723) ელდარის ფიჭვი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **1 ძირი ჯანსაღი** (№ 119) ალვის ხე და **14 ძირი ჯანსაღი** (№ 31; № 106; № 130; № 150; № 152; № 154-155; № 167; № 187; № 290; № 333; № 341; № 418; № 627) ხილ-კენკროვანი (ჯამში - **15 ერთეული**) მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **127 ძირი** მწვანე

ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1¹ პუნქტისა და 21² მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 7 ძირი (№ 95; № 143; № 235; № 259; № 582; № 605-606) ჩვეულებრივი თუთა, 12 ძირი (№ 158; № 317-318; № 349-350; №550-551; № 608-609; № 693-695) თხილი, 1 ძირი (№ 237) იასამანი, 17 ძირი (№ 35; № 81; № 139; № 157; № 294; № 329-330; № 344; № 369; № 423; № 457; № 495; № 562; № 570; № 613; № 619; № 634) კაკლის ხე, 1 ძირი (№ 164) მარადმწვანე კვიპაროსი, 1 ძირი (№ 1) ტუია, 2 ძირი (№ 145; № 149) ხურმა, 1 ძირი (№ 161) ცრუ აკაცია და 85 ძირი (№2; №21; №29; №33-34; №36; №68; №78-79; №96-97; №118; №126; №132-134; №148; №151; №162; №168-169; №195; №197; №201; №217; №240; №272; №285; №289; №291; №296-298; №304; №310; №314; №316; №326; №331-332; №339-340; №345; №348; №352-354; №367-368; №373; №421; №432-433; №439; №472-473; №514; №553; №563; №566-569; №578-579; №590; №604; №607; №610; №618; №626; №628-631; №645; №649; №654-656; №667; №676-677; №682; №686) ხილ-კენკროვანი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 11 ძირი გადასარგავი (№189 D=38.2, №726 D=31.8 - თუთა ჩვეულებრივი; №125 D=43.3 - კაკლის ხე; №181 D=25.5, №182 D=31.8, №183 D=35.0, №184 D=47.8, №185 D=31.8, №731 D=35.0, №732 D=36.6 - ტირიფი; №160 D=28.7 - ცრუ აკაცია) მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21 მუხლის 1¹ პუნქტისა და 21¹ მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს თითოეულ ხეზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (არსებული: 6 ძირი კაკლის ხე, 1 ძირი იტალიური ფიჭვი, 1 ძირი მარადმწვანე კვიპაროსი, 7 ძირი ჩვეულებრივი თუთა, 1 ძირი იასამანი, 2 ძირი თხილი, ასევე გადასარგავი: 7 ძირი ჩვეულებრივი თუთა, 12 ძირი თხილი, 1 ძირი იასამანი, 17 ძირი კაკალი, 1 ძირი მარადმწვანე კვიპაროსი, 1 ძირი ტუია, 1 ძირი ცრუ აკაცია და საპროექტოდ დასარგავი: 95 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 95 ძირი ჩვეულებრივი იფანი, 100 ძირი ჰიმალაის კედარი, 95 ძირი კავკასიური ცაცხვი, 95 ძირი იტალიური ფიჭვი, 95 ძირი კატალპა და 95 ძირი წითელი ტყემალი, ჯამში - 728 ერთეული) სრულად ითვისებს გამწვანების (კ-3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (17 420.7 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა №01.14.01.001.396 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო სამართლის იურიდიული კირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 0120261787
თარიღი: 17/09/2020
პინი: 8980

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2020 წლის 14 სექტემბრის N 01202584725-67 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქ.თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე 4-ე მიკრო რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით 01.14.01.001.396) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი განახლებული წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები მისაწვდომობის ფარგლებშია. რა მანძილის დაფარვასაც ქვეითი შეძლებს 4-5 წუთში. ავტობუსებს გააჩნია რეზერვები, თუმცა პროექტის განხორციელების შემდეგ აღნიშნული რეზერვები გადაივსება. ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორიაზე განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და საუბნო შემკრები საზ. ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს, გაჩნდება დამატებითი რეზერვები და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

მიმდებარე ტერიტორიაზე პრობლემები გვხვდება საქვეითე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ტროტუარები მოსაწესრიგებელია, დაზიანებულია ასფალტის საფარი. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით საკვლევი კვანძები პროექტის განხორციელების შემდგომ მნიშვნელოვნად არ იტვირთება. დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01210751203

თარიღი: 16/03/2021

პინი: 4257

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2021 წლის 12 მარტის N 01210703586-67 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქ.თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე 4 ე მიკრო რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით 01.14.01.001.396) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 17 სექტემბრის N01202584725-67 განცხადების პასუხად N 0120261787 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





VI. III. IV. ბგეშეკლადეშ ბგეშეკლადეშ

	b. 20/7/1893
	b. 20/7/1893
	b. 20/7/1893
	b. 20/7/1893

“6.795,” 447.



а. 20371535
а. 20371535
б. 61465d7
а. 20371535
б. 61465d7


 შპს-ს დაარსებისას საქართველოს კონსტიტუციის
 ხაზ. N 01.14.01.001.396 დადგენილია: ქვემოთ
 ფასდასმული ნაწილისთვის, მოცემული IV, V, VI, VII
 პარაგრაფები, ქვემოთ მოცემული, უნდა
 დაეკრძალოს ნაწილს/პარაგრაფს/პარაგრაფებს

X- 2020

(0,26)(8,0)


[illegible]







ამასთან ერთად, გრგ არ გამოირიცხავს მეორე, შესაძლოა უკვე ან მთლიანად ერთიანად რეალიზაცია.

[illegible]

[illegible][illegible]







[illegible]

“ဒေသ”

[illegible]